



Co-funded by the  
Erasmus+ Programme  
of the European Union

## აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების უზრუნველყოფა: სტუდენტური სერვისები

მაია როგავა; ზვიად ზალიკიანი; გიგა ხოსიტაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა ერაზმუს პლუსის ინსტიტუციური განვითარების პროექტის “აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY)” ფარგლებში.

This framework (Work Package 2.6) was developed as part of the Erasmus Plus CBHE project “Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia (Integrity)”.

The European Commission support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the author, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.

თბილისი

2018

## მეთოდოლოგია

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს პლუსის ინსტიტუციური განვითარების პროექტის “აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY)” ფარგლებში მოხდა სტუდენტური სერვისების შესახებ კონცეფციის განვითარება. ის გათვლილია უნივერსიტეტში ისეთი აკადემიური სერვისების ჩამოყალიბებაზე, რომელიც სტუდენტებს დაეხმარება სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

თავდაპირველად მოხდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე არსებული სერვისების განხილვა და გამოწვევების იდენტიფიცირება. მომდევნო ეტაპზე კი ევროპული პრაქტიკის გაცნობა (პროექტის ოთხი ევროპელი პარტნიორი უნივერსიტეტი) და ამის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება.

## არსებული მდგომარეობის აღწერა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არ არსებობს ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სტუდენტებისთვის აკადემიური სერვისების მიწოდებაზე. არსებული მდგომარეობით, ამ ფუნქციების დელეგირება ძირითადად ხდება სამ ერთეულში: ფაკულტეტი/სკოლა; ბიბლიოთეკა და აკადემიური წერის ცენტრი.

- **ფაკულტეტი/სკოლა** - პასუხისმგებელია საორიენტაციო შეხვედრების დროს სტუდენტს გააცნოს, როგორც უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკის კოდექსი, ასევე ესაუბროს პლაგიატის, შესაბამისი სანქციების და მისი პრევენციის შესახებ. ხაზი გაუსვას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და პირველივე დღეს სტუდენტს შეუქმნას გარკვეული წარმოდგენა/მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია.
- **უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა** - ბიბლიოთეკა ყველა დაინტერესებულ პირს (მათ შორის სტუდენტებს) სთავაზობს ორი სახის ტრენინგს: ა) ტრენინგი სამეცნიერო ელ. ბაზების გამოყენების შესახებ, რომლის მიზანია მონაწილეებმა შეძლონ ელ. ბაზების

საძიებო ინსტრუმენტების ათვისება და პრაქტიკაში გამოყენება. აღნიშნული ტრენინგზე განხილვის ძირითადი საკითხებია ინფორმაციის მოძიება და წყაროების სანდოობის შეფასება. ბ) ტრენინგი საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენების შესახებ - აღნიშნულ შეხვედრებზე ხდება ბიბლიოთეკაში არსებული ყველა სერვისის მიმოხილვა და სტუდენტების ინფორმირება. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ბიბლიოთეკა პერიოდულად ორგანიზებას უწევს სამუშაო შეხვედრებს/ტრენინგებს, რომელსაც უძღვება კონკრეტული სამენციერო ელ. ბაზის მომწოდებელი კომპანია და მისი მიზანი ყოველ ჯერზე განსხვავებულია. ეს შეიძლება იყოს შეხვედრა მკვლევარებისთვის ან სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისთვის, შესაბამისად აქცენტი გაკეთდება სამენციერო სტატის მომზადების ტექნიკაზე, ასევე შეიძლება იყოს ზოგადად ინფორმაციის მოძიების და მისი დამუშავების მეთოდების შესახებ.

- **აკადემიური წერის ცენტრი** - მუშაობს რამდენიმე მიმართულებით შესაბამისად სტუდენტებს სთავაზობს სერვისებს, რომელიც უკავშირდება როგორც წერის ასევე ეფექტური პრეზენტაციის მომზადების უნარების განვითარებას. უფრო კონკრეტულად: ა) **ყოველკვირეული სემინარები** - წერის ცენტრის მასწავლებლები სემესტრის განმავლობაში ყოველ კვირას ატარებენ სემინარს. აღნიშნული სემინარი გათვლილია ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტებისთვის და მათ საშუალებას აძლევთ გაიღრმავონ ცოდნა კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში. ბ) **ტუტორიალები და ბექდური გაიდები** - წერის ცენტრის მასწავლებლები პერიოდულად ამზადებენ ვიდეო ლექციებსა და ტუტორიალებს, რომლებიც განთავსებულია ღია წვდომით; ასევე მოკლე (ერთ-ორ გვერდიან) ბექდურ გაიდებს აკადემიური წერისა და პრეზენტაციის საკვანძო საკითხებზე. ეს რესურსი სტუდენტს აწვდის შეჯამებულ ან დამატებით ინფორმაციას და ეხმარება მას სასწავლო მასალის დამლევაში. გ) **კონსულტაციები** - ნებისმიერ სტუდენტს სემესტრის განმავლობაში შეუძლია მოითხოვოს ინდივიდუალური კონსულტაცია წერის ცენტრის მასწავლებლისგან. ამ მიზნით სტუდენტმა უნდა შეავსოს მარტივი სარეგისტრაციო ფორმა, რომელიც განთავსებულია წერის ცენტრის ვებ-გვერდზე, ასევე სოციალურ ქსელის გვერდზე. დ) **მასტერკლასები** - ძირითადად გათვალისწინებულია სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის. მომართვიანობა ხდება უშუალოდ სამგისტრო

ნაშრომის მომზადების პერიოდში და ყველა სტუდენტი იღებს ინდივიდუალურ უკუკავშირის წერის ცენტრის მასწავლებლისგან ზოგადად ნაშრომის სტრუქტურის თუ კონკრეტული თავის/ქვეთავის შესახებ. ე) **სტუდენტური კონფერენცია** - წერის ცენტრის ორგანიზებით სასწავლო წლის ბოლოს ტარდება სტუდენტური კონფერენცია, სადაც ხდება იმ ნაშრომების წარმოდგენა, რომელსაც სტუდენტები დამოუკიდებლად ამზადებენ. აღნიშნული აქტივობა ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური უნარების განვითარებას და ამალვებს მათ მოტივაციას.

## ევროპული პრაქტიკა

### დუბლინის ქალაქის უნივერსიტეტი

დუბლინის ქალაქის უნივერსიტეტში აკადემიური წერის კურსს კოორდინირებას უწევს ორი განყოფილება - ბიბლიოთეკა და სტუდენტთა მხარდამჭერი სამსახური. წერის ცენტრი, რომელიც აკადემიური წერის კურსის პროვაიდერია საუნივერსიტეტო დონეზე, სხვადასხვა სერვისსა და კონსულტაციას სთავაზობს სტუდენტებს. ესენია:

- როგორ შევექმნათ/ავაგოთ დავალების სტრუქტურა სწავლების მესამე საფეხურზე (PhD?);
- როგორ მოვძებნოთ და წავიკითხოთ მასალა დავალებისთვის ეფექტურად.
- წერის სპეციფიკის ასპექტებთან დაკავშირებული სიმძნელების განხილვა, მაგ.: აზრის გამოყოფა, წინადადების სტრუქტურა, წყობა, შესავალი და დასკვნითი ნაწილი.
- როგორ გავაუმჯობესოთ ნაწერი უკეთესი შეფასების მისაღებად.

წერის ცენტრის კონსულტაცია გულისხმობს სტუდენტებთან შეხვედრის დანიშვნასა და მათი დავალებების სამუშაო ვერსიების განხილვას. თუ დავალება მეორდება, სტუდენტებს შეუძლიათ დაკომენტარებული, უკუკავშირიანი დავალებების კონსულტაციაზე მიტანა განსახილველად, რომელიც მათ თავიანთი ტუტორებისგან/მასწავლებლებისგან მიიღეს. თუმცა, ცენტრის მომსახურებაში არ შედის კორექტირება ან რედაქტირება, არამედ ის ხელს

უწყობს სტუდენტთა უნარების გაძლიერებასა და მათ, როგორც საკუთარი ნაშრომის რედაქტორებად ჩამოყალიბებაში.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალისთვის სწავლების მართვის სისტემებთან (Moodle, Turnitin, Urkund) დაკავშირებულ ტრენინგებს სთავაზობს სწავლების გაუმჯობესების ერთეული (Teaching Enhancement Unit), სტუდენტური სერვისები კი გადანაწილებულია ბიბლიოთეკასა და სტუდენტთა მხარდამჭერ და განვითარების სამსახურებთან. ორივე მათგანი სტუდენტებს სთავაზობს ონლაინ კურსებს ნებისმიერ დროს ძირითადად ინფორმაციული წიგნიერების და წყაროებთან მუშაობის თემატიკაზე.

### **უფსალას უნივერსიტეტი**

უფსალას უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს კურსს აკადემიურ წერაში პროგრამებისა და დისციპლინების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ პერსონალის ჩართულობა აღნიშნულ ტრენინგში გასწავლება პროგრამებისა და დისციპლინების მიხედვით. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი ფოკუსირებულია ლაბორატორიულ ჟურნალებზე, ანგარიშებსა და სამეცნიერო ნაშრომებზე, ხოლო სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კი ყურადღება გამახვილებულია აღწერასა და ანალიზზე, კრიტიკულ აზროვნებასა და დისკურსზე, ესესა და ნარკვევებზე. პროგრამების ძირითადი ნაწილი სასწავლო წლის პირველ კვირაში სტუდენტებს სთავაზობს, მონაწილეობა მიიღონ ღონისძიებაში, რაც გულისხმობს: ინფორმაციას სასწავლო პროგრამის შესახებ, რას ნიშნავს უნივერსიტეტში სწავლა, ლექციებს ძირითადი/ზოგადი და ეფექტური სწავლის უნარები შესახებ.

უფსალას უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლებისა და სწავლის დოკუმენტი, საგანმანათლებლო აქტოვობებისა და განვითარების სახელმძღვანელო, რომლის შექმნაშიც ჩართული იყო როგორც პერსონალი, ასევე სტუდენტებიც. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით გაწერილია რეკომენდაციები, რაზეც ორივე მხარეა პასუხისმგებელი.

უნივერსიტეტი პასუხისმგებლობა - ყველა საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ზეპირი და წერიტი უნარების ჩამოყალიბებას/გავარჯიშებას. სტუდენტის პასუხისმგებლობა: გამოიყენოს არსებული შესაძლებლობა, რათა ჩამოყალიბდეს, გაუმჯობესდეს ზეპირი და წერიტი უნარები. აღნიშნული უნარებთან დაკავშირებული სიმნელებების შემთხვევაში უნდა მიმართოს კოორდინატორს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

გამოიყენოს ყველა შესაძლო რესურსი, როგორცაა სტუდენტთა ჯანმრთელობის ცენტრის კურსი და ენის/ენობრივი ვორქშოფი.

აქვე, მნიშვნელოვანია მასწავლებელსა და სტუდენტს შორის კოლაბორაცია. ახალი სტუდენტები (ეხება დისტანციურ სტუდენტებსაც) გაცნობით შეხვედრაზე მიიღებენ ინფორმაცია უნივერსიტეტში სწავლის შესახებ, რაც დაეხმარება მათ განუვითარდეთ სწავლის უნარები და შესაძლებლობა, მოძებნონ და შეაჯამონ ინფორმაცია დამოუკიდებლად სწავლის დაწყებიდანვე. აღნიშნული პროცედურა ნათელს გახდის, თუ რა მნიშვნელოვანია სტუდენტსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობა. შესაბამისად, ღირებულებები და ნორმები უნდა იყოს ხაზგასმული და განხილული ისე, რომ ყველა სტუდენტისთვის იყოს საერთო.

უფსალას უნივერსიტეტში არსებობს ენის/ენობრივი ვორქშოფ ცენტრი, რომელიც ყველა დონეზე სტუდენტებს უფასოდ სთავაზობს მომსახურებას, რაც გულისხმობს ზეპირი და წერიტი პრეზენტაციის შესახებ კონსულტაციებს შვედურ და ინგლისურ ენაზე. ყველა ტუტორს აქვს ფართო გამოცდილება აკადემიური სწავლების სფეროში. ცენტრის ზირითადი აქტივობები:

- 1000 ინდივიდუალური კონსულტაცია წელიწადში
- კოლაბორაცია სხვადასხვა ფაკულტეტებსა და საგანამანათლებლო პროგრამებთან.
- ენის ვორქშოფები ყველა კორპუსში.
- ლექციები აკადემიური წერს შესახებ(სტუდენტებისთვის, პერსონალისთვის)

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ეხმარება სტუდენტებს კატალოგში ინფორმაციის მოძებნა-შეგროვებასა და კრიტიკულ აზროვნების განვითარებაში. ბიბლიოთეკარები სტუდენტებს უტარებენ კურსებს, ვორქშოფებსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. ასევე, ეს კურსები სტუდენტებს ავარჯიშებს ელექტრონული სწავლების შესაძლებლობაშიც. აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკა აცნობს სტუდენტებს ყველა აკადემიურ წესს, რაც დაკავშირებული ტექსტებთან სამუშაოდ და დასაწერად. ასევე, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია ფილმები.

## **როკემპტონის უნივერსიტეტი**

როკემპტონის უნივერსიტეტში აკადემიური სერვისებით სტუდენტების მხარდაჭერა ხდება სხვადასხვა საფეხურზე უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მხრიდან. მათ პრაქტიკაში აღსანიშნავია რამდენიმე აქტივობა: ა) სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა - ყველა სტუდენტს აქვს ბარათი, რომელის გააქტიურება ხდება ლექციაზე შესვლის წინ. გარკვეული პერიოდულობით, ფაკულტეტის/პროგრამის ადმინისტრაცია ამოწმებს მოსწრების მაჩვენებელს და იმ სტუდენტებს, ვინც ლექციებს არ ესწრება ეგზავნება პერსონალური შეტყობინება ან იწვევენ კონსულტაციაზე. ბ) წასაკითხი მასალის სია - სასწავლო წლის დაწყებამდე კურსის ხელმძღვანელი ვალდებულია ბიბლიოთეკის დახმარებით მოიძიოს წასაკითხი ლიტერატურა და სტუდენტებს მიუთითოს კონკრეტული რესურსის ადმინისტრაცია. გ) ციტირების ავტომატურ რეჟიმში მართვის პროგრამა Refworks - ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს წვდომას აღნიშნული რესურსის ფასიან ვერსიაზე, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ერთ სივრცეში მოაქციონ მათთვის სასურველი ყველა რესურსი და შესაბამისად მარტივად მოახდინონ ციტირება და ბიბლიოგრაფიის სიის შედგენა. დ) “სტუდენტის შედეგების დაფა” (Student Dashboard) - აღნიშნული პროგრამა ახდენს ინფორმაციის სეგრეგაციას კონკრეტული სტუდენტის შესახებ. ეს ინფორმაცია მოიცავს რაოდენობრივ მონაცემებს მისი ბიბლიოთეკაში ვიზიტის, ელექტრონული სწავლების პორტალის გამოყენების და დავალებებში მიღებული შეფასებების შესახებ. ამ ინფორმაციაზე წვდომა აქვს უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში ადმინტა მცირე ჯგუფს, რომლებიც პრობლემის აღმოჩენისთანავე გეგმავენ სტუდენტებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს.

## **ვენის უნივერსიტეტი**

ვენის უნივერსიტეტში აღნიშნული სერვისები თავმოყრილია სწავლისა და სწავლების ცენტრში (Centre for Teaching and Learning); სამაგისტრო/სადოქტორო საფეხურზე სტუდენტების მხარდაჭერი ცენტრში და ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკა ძირითადად პასუხისმგებელია საინფორმაციო წიგნიერების მიმართულებით, ასევე აქ ხდება ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესების გაცნობა შესაბამისი ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენებით. სწავლა-სწავლების ცენტრი ორგანიზებას უწევს სამუშაო შეხვედრებს

კონკრეტულად აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ. ეს შეხვედრები განკუთვნილია ყველა საფეხურის სტუდენტებისთვის. ხოლო, სამაგისტრო/სადოქტორო საფეხურზე სტუდენტების მხარდამჭერი ცენტრი სტუდენტებს ეხმარება აკადემიური წერის მიმართულებით, კონკრეტულად ტრენგების ძირითადი თემებია: აკადემიური ნაშრომის სტრუქტურა; ლიტერატურის მიმოხილვის არსი; სამეცნიერო/აკადემიური ენა და სტილი; ეფექტური პრეზენტაცია და ასე შემდეგ. ამავე ცენტრში ყოველწლიურად ხდება სტუდენტ-ტუტორების მომზადება, რომლებიც თავის მხრივ ტრენინგებს ატარებენ სტუდენტებთან.

## რეკომენდაციები

### ბიბლიოთეკა:

- **საინფორმაციო პაკეტი პლაგიატის, მისი დეტექციის, პრევენციისა და არსებული სანქციების შესახებ.** ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე განთავსებულია ზოგადი ინფორმაცია პლაგიატის და მისი ფორმების შესახებ. უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესაბამისად აქვე მოცემულია სანქციების ჩამონათვალი, რაც პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში შეიძლება ამოქმედდეს. ამავე ნაწილში საუბარია პრევენციის მექანიზმებზე. აღნიშნული ნაწილი უნდა იყოს მარტივ და გასაგებ ენაზე გადმოცემული, რადგან ის ძირითადად განკუთვნილია დამწყები საფეხურის სტუდენტებისთვის.
- **ინდივიდუალური კონსულტაციები ბიბლიოთეკაში (Book a Reference Librarian)** - სწავლის ნებისმიერ ეტაპზე სტუდენტს უნდა შეეძლოს კონსულტაციის მიღება ბიბლიოთეკაში, ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორცაა - საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება; კონკრეტულ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით აკადემიური წყაროების მოძიების გზები და ხერხები; წყაროების სანდოობის შეფასება ზოგადი კრიტერიუმების მიხედვით. აღნიშნული მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს წინასწარ სარეგისტრაციო ფორმის შევსების საფუძველზე.
- **ტრენინგი ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის თაობაზე (Reference Management Tools)** - ბიბლიოთეკა სტუდენტებს მუდმივ რეჟიმში უნდა სთავაზობს ტრენინგს ციტირების/ბიბლიოგრაფიის ავტომატურ რეჟიმში შედგენის თაობაზე.



აღნიშნული ტრენინგის მიზანი უნდა იყოს ციტირებების მართვის მინიმუმ ერთი ელექტრონული პროგრამის გაცნობა. ეს შეიძლება იყოს: Mendeley; Zotero; EndNote; Refworks და სხვ. ტრენინგის დროს დეტალურად უნდა მოხდეს აღნიშნული სისტემების განხილვა და იმ უპირატესობის წარმოჩენა, რაც სტუდენტს დაეხმარება წერის პროცესის გამარტივებაში და მეორეს მხივ უზრუნველყოფს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. გარდა ტრენინგისა, შესაბამისი ინფორმაცია და სასწავლო მასალა (ინსტრუქცია) უნდა განთავსდეს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე.

- **“ღამე ბიბლიოთეკაში”** - აქტივობა, რომელი შეიძლება დაიგეგმოს სემესტრის განმავლობაში ერთხელ ან ორჯერ, როგორც წესი წინასაგამოცდო პერიოდში. ამ ღონისძიების დროს სტუდენტს მოკლე დროში უნდა შეეძლოს ყველა იმ მომსახურების მიღება, რასაც ბიბლიოთეკა ისედაც სთავაზობს. გარდა ამისა, აღნიშნულ ღონისძიებას შეიძლება შემოიუერთდეს აკადემიური წერის ცენტრის და/ან ზოგადი მოდულის ძირითადი საგნის მასწავლებლები, რომლებიც სტუდენტებს კონსულტაციას გაუწევენ კონკრეტულ საგნებში დამოუკიდებლად შესასრულებელ კომპონენტთან მიმართებაში.
- **ტუტორიალები** - მოკლე ვიდეო ინსტრუქციები ბიბლიოთეკაში არსებული სერვისებისა თუ რესურსების შესახებ. აღნიშნულის მიზანია, დაეხმაროს სტუდენტს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებაში და დამუშავებაში. ისინი ღია წვდომით უნდა განთავსდეს ბიბლიოთეკის საიტზე და ასევე მოხდეს აღნიშნული რესურსის პოპულარიზება სხვადასხვა მედიის გამოყენებით.
- **MOOC (ღია კურსი)** - ინფორმაციული წიგნიერების და/ან აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხზე შეიძლება მომზადდეს კურსი, სადაც მოცემული იქნება როგორც წასაკითხი მასალა, ასევე აქტივობები, რომლის შესრულების შემდეგ ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლება გარკვეული წარმოდგენა ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე. კურსი იქნება ყველასთვის ხელმისაწვდომი და შეიძლება მისი გავლა გახდეს წინაპირობა რომელიმე საგანზე რეგისტრაციის დროს. კურსის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდება რესურსების ერთ სივრცეში თავმოყრა, ადვილად გასაგები სტრუქტურის საშუალებით და ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისთვის.

## აკადემიური წერის ცენტრი:

- **Acamdeic Writing Fellow Program** - ვენის უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, შესაძლებელია წინასწარ მომზადდეს მაღალ კურსელი სტუდენტების ჯგუფი, რომლებიც აკადემიური წერის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით გაუწევენ კონსულტაციას და აღმოუჩენენ დახმარებას ახლად მოსულ სტუდენტებს. აღნიშნული საქმიანობა არის ნებაყოფლობითი და როგორც წესი არ ანაზღაურდება, თუმცა გაწეული საქმის შესაბამისად გაიცემა შესაბამისი დოკუმენტი.
- **“ენის სახელოსნო” (Language Workshop)** - მსგავსი მომსახურება ძირითადად გათვლილი იქნება იმ სტუდენტებისთვის, ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა - აზერბაიჯანულენოვანი; სომხურენოვანი და გაცვლითი პროგრამის სტუდენტები. შეხვედრების დროს განხილულ საკითხთა შორის იქნება ქართულ ენის თავისებურებები, რაც აუცილებელია აკადემიური ნაშრომის მომზადებისთვის. ასევე აღნიშნული შეხვედრა შეიძლება მომზადდეს იმ ქართულ ენოვანი სტუდენტებისთვის, ვისაც ნაშრომის მომზადება უწევს არა მშობლიურ ენაზე (მაგ. ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები).
- **წერის მარათონი (Writing Marathon)** - სასწავლო წლის მანძილზე შეიძლება მოეწყოს ერთი დღე, სადაც სტუდენტები ერთმანეთს შეეჯიბრებიან წერის უნარების წარმოჩენაში, რომელიც აისახება მათ მიერ შექმნილ ნაშრომში. აღნიშნული ღონისძიება დაეხმარება, მათ უკვე ათვისებული ცოდნის წარმოჩენაში, დაანახებს ამ უნარების საჭიროებას და ასევე აუმაღლებს მოტივაციას. გამარჯვებულები უნდა დასაჩუქრდნენ სიმბოლური საჩუქრებით. ეს ღონისძიება შეიძლება იყოს ყოველწლიური, როგორც ერთი უნივერსიტეტის შიგნით ასევე უნივერსიტეტშორისი.